



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 132

2016 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

**2016 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის  
გამოცხადების შესახებ**

„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N57/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის 2016 წლის 22 ივნისის N755786 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს 2016 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონკურსში პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს უცხოელი მეცნიერის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თეა მუჯანაძეს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
10. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



2016 წლის  
საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის  
საგრანტო კონკურსის პირობები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს:
  - ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას;
  - ბ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებების ხელშეწყობას, განვითარებასა და განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით;
  - გ) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში სხვადასხვა კვლევითი ცენტრების, ჯგუფების და ინდივიდუალურ მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას;
  - დ) საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას;
  - ე) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.
2. 2016 წლის კონკურსის თემებია:
  - ა) რუსთველოლოგია;
  - ბ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობა და დაცვა.

**მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება**

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.
2. ფონდი არ განიხილავს კონკურსის ვადების დარღვევით წარმოდგენილ პროექტებს.

**მუხლი 3. კონკურსის პირობები**

1. საკონკურსო განაცხადის (შემდგომში - პროექტი) ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თემატურ მიმართულებაში შემოტანილი პროექტით ფარგლებში კონფერენცია უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო ამ ბრძანების პირველი მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თემატურ მიმართულებაში - 2017 წლის 1 აგვისტომდე.
3. პროექტს სასურველია ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური წყარო), რომელიც ნაწილობრივ დაფარავს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილს.
4. პროექტი სასურველია იყოს ინტრა- და ინტერინსტიტუციური და მასში ჩართული იყოს ერთი ან რამდენიმე ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია თანამონაწილე ორგანიზაციის სტატუსით.
5. კონკურსში პროექტის დარეგისტრირება და მონაწილეობა შეუძლია პროექტის ხელმძღვანელს წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციებთან ერთად.

6. პროექტის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუძლიათ კონკურსზე დაარეგისტრირონ მხოლოდ ერთი პროექტი.
7. პროექტს უნდა ჰყავდეს კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია კონფერენციის თემატიკის შესაბამისი მიმართულების მეცნიერებით და მკვლევრებით.
8. პროექტს უნდა ჰყავდეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მოქალაქე ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისგან და რომელიც მონაწილეობს კონფერენციის ორგანიზებაში.
9. კონკურსის აუცილებელი პირობაა, პროექტის დასრულების შემდგომ, კონფერენციის ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს კონფერენციის აბსტრაქტებისა და მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე.

#### მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები

##### 1. პროექტის პერსონალი

ა) პროექტში ჩართული ფიზიკური პირები ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ამოცანებს ძირითადი ან დამხმარე პერსონალის სტატუსით.

ა.ა. პროექტის ძირითად პერსონალს შეადგენენ: პროექტის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში), კოორდინატორი, კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

ა.ბ. პროექტის დამხმარე პერსონალს შეადგენენ პირები, რომლებიც ჩართული არიან ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

ბ) პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის ადმინისტრაციული, აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი წამყვანი ორგანიზაციიდან; იგი ხელმძღვანელობს პროექტის მომზადებას, განხორციელებასა და პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებას; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ანგარიშგებაზე ფონდის მიერ დამტკიცებული წესებისა და ფორმების შესაბამისად და პროექტის შედეგებზე.

გ) პროექტის კოორდინატორი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ეხმარება პროექტის ხელმძღვანელს პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

დ) პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის ადმინისტრაციული, აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი თანამონაწილე ორგანიზაციიდან; იგი მონაწილეობს პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში პროექტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ანგარიშგებაზე გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად პროექტის ხელმძღვანელთან ერთად; პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს გრანტის მიმღები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის საქართველოს მოქალაქე.

ე) კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების სამეცნიერო შინაარსზე;

ვ) კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის ორგანიზებაში.

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლებელია იყოს ძირითად პერსონალში და ჩართული როგორც კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის, ასევე საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ის ვერ მიიღებს საგრანტო დაფინანსებას.

თ) პროექტში სასურველია ძირითად პერსონალში ჩართული იყოს ახალგაზრდა მკვლევარი (დოქტორანტი,

მაგისტრანტი, დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადებიდან 7 წლის წინა პერიოდში).

2. პროექტში ჩართული ორგანიზაციები:

ა) პროექტის წამყვანი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების ან/და სხვა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

ბ) თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების ან/და სხვა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). თანამონაწილე ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე. თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, შესაბამისად თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ ვერ იქნება გრანტის მიმღები.

3. პროექტში შეიძლება ჩართული იყოს ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირი (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში). ერთ-ერთი მონაწილე იურიდიული პირი ითვლება წამყვან ორგანიზაციად, ხოლო დანარჩენი თანამონაწილედ. პროექტის ხელმძღვანელი უნდა მოღვაწეობდეს წამყვან ორგანიზაციაში, ხოლო თანახელმძღვანელი - თანამონაწილე ორგანიზაციაში.

## **მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა**

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა პროექტის დოკუმენტების სრული პაკეტი უნდა გამოაგზავნონ **ელექტრონული ფოსტით** შემდეგ მისამართზე: [gc@rustaveli.org.ge](mailto:gc@rustaveli.org.ge) **2016 წლის 22 ივლისის 16:00 სთ-მდე**.

2. პროექტის დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის გენერალური დირექტორის 23 ივნისის, 2016 წ. №132 ბრძანებით დადგენილი ფორმების დაცვით.

3. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება **სარეგისტრაციო შიფრი** და გაეგზავნება პროექტის გამომგზავნს. პროექტის **სარეგისტრაციო შიფრი უნდა** მიეთითოს **განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ**.

4. კონკურსში ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტის ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს **ფონდის კანცელარიაში არაუგვიანეს 2016 წლის 26 ივლისის 16:00 საათისა**. განცხადება უნდა იყოს სათანადოდ შევსებული ფონდის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით, ხელმოწერილი პროექტის ხელმძღვანელისა, წამყვანი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის, თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში, საქართველოში დარეგისტრირებული იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის და ძირითადი პერსონალის (მხოლოდ ქართველი მოქალაქეების) მიერ და დადასტურებული შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭდით;

5. პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით შესაძლებელია მხოლოდ ერთ პროექტის წარმოდგენა.

6. კონკურსზე რეგისტრაციის წესისა და ვადის დარღვევით წარმოდგენილი პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.

**6. პროექტის რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:**

1. საპროექტო წინადადება (PDF ფორმატში; დანართი 2);

2. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი (Excel ფაილი დანართი 3);

3. პროექტში ჩართული ფიზიკური პირების დოკუმენტები (ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები თანმიმდევრულად გაერთიანებული ერთიანი PDF ფაილის სახით; ხოლო „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები, თანმიმდევრულად გაერთიანებული უნდა იყოს ცალკე ერთ PDF ფაილში):

ა) პროექტის ძირითადი პერსონალი დეტალური პროფესიული ბიოგრაფია (CV) პუბლიკაციების სიითა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში (გრანტებში) მონაწილეობის მითითებით. უცხოელი მონაწილეების ბიოგრაფია შეგიძლიათ წარმოადგინოთ ინგლისურ ენაზე (დანართი 4).

ბ) უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის დაინტერესების წერილი (Letter of Interest) პროექტში მონაწილეობაზე, პიროვნების სამეცნიერო ხარისხის, თანამდებობის, სამუშაო ადგილის, საკონტაქტო ინფორმაციის, პროფესიული ვებგვერდისა და სამსახურის ვებგვერდის მისამართით, ხელმოწერილი ავტორის მიერ. დაინტერესების წერილი ქართულად ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ (დანართი 5).

დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლები;

ე) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთოდეს „ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ“ გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

4. პროექტში ჩართული იურიდიული პირების დოკუმენტები (ამ პუნქტის „ა“ , „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები, თანმიმდევრულად გაერთიანებული უნდა იყოს ერთ PDF ფაილში):

ა) პროექტის წარმომდგენი საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაცემული 2016 წელს და წესდება. სსიპ-ების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის მხოლოდ დაფუძნების ბრძანების ასლი.

ბ) პროექტის წარმომდგენი საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების საბანკო რეკვიზიტები: საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში სახაზინო კოდი, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირის შემთხვევაში - საბანკო ანგარიშის ნომერი;

გ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ შესაბამისი თანხის მითითებით, თანადაფინანსებლის მიერ ხელმოწერილი და დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

დ) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

5. ამ მუხლის მეშვიდე პუნქტის ა-ვ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი დოკუმენტები უნდა გამოიგზავნოს ერთად, ერთ გზაწერილზე მიბმული ფაილების სახით კონკურსის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [gc@rustaveli.org.ge](mailto:gc@rustaveli.org.ge).

6. პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 6) წარმოდგენილი უნდა იყოს კანცელარიაში, დადასტურებული წამყვანი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების) ხელმოწერებით, ხოლო ინტერნსტიტუციური პროექტების შემთხვევაში - აგრეთვე თანამონაწილე ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით და პროექტის თანახელმძღვანელის ხელმოწერით.

7. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ, ყალბ ან დადგენილი ფორმების დარღვევით წარმოდგენილ ინფორმაციას.

#### **მუხლი 7. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები**

1. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს.
2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შეიძლება გაიცეს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება.
  - ბ) პროექტის დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
  - გ) პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალის მივლინების ხარჯები: ტრანსპორტირება, სასტუმროს დაქირავება და კვება;
  - დ) კონფერენციის ორგანიზებისათვის საჭირო საქონელი და მომსახურების ხარჯები, მათ შორის წარმომადგენლობითი ხარჯები; ამავე კატეგორიაში შეიძლება მოთხოვნილ იქნას კონფერენციის პროგრამაში მოწვეულ უცხოელ მეცნიერთა/მომხსენებელთა და სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტების უცხოელ წევრთა მგზავრობის, საქართველოში სასტუმროს დაქირავებისა და ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირების ხარჯები, ასევე მათი ერთჯერადი ჰონორარის ხარჯი. ამავე პუნქტიდან დაფინანსდება ღონისძიების მონაწილეთა მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯები.
  - ე) კონფერენციის ორგანიზებისათვის საჭირო ძირითადი აქტივების ხარჯები;
  - ვ) პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის) ზედნადების ხარჯი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული მუხლები/ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (დანართი №7).
  4. გრანტის სახსრებით დაუშვებელია, უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია, სატრანსპორტო საშუალებების და კომპიუტერის შეძენა.
  5. გრანტი არ აფინანსებს კონფერენციის მონაწილეთა საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს თუ მათი მოხსენება არ არის ჩართული კონფერენციის პროგრამაში. გრანტით შეიძლება კონფერენციის პროგრამაში მოწვეულ სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტების უცხოელ წევრთა საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.
  6. პროექტს სასურველია ჰქონდეს თანადაფინანსება.
  7. თანადაფინანსებელი შეიძლება იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილს.
  8. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს საკონფერენციო გადასახადს, რომელიც მიმართული უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად.
  9. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ იურიდიულ და ფიზიკურ პირ(ებ)ს მათ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **მუხლი 8. კონკურსის ეტაპები**

1. კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
2. კონკურსზე რეგისტრაცია:
  - ა) პროექტების წარდგენა ელექტრონული ფოსტით მისამართზე: [gc@rustaveli.org.ge](mailto:gc@rustaveli.org.ge) ;
  - ბ) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ წარდგენა ფონდის კანცელარიაში.
3. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენა;
4. პროექტების განხილვა, შეფასება და რანჟირებული სიების დადგენა ამ ბრძანების პირველი მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი თემატური მიმართულებების მიხედვით და გამარჯვებულების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ;
5. გამარჯვებული პროექტის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
6. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

7. საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელთან, კოორდინატორთან, წამყვან ორგანიზაციასთან, ძირითად პერსონალთან, თანახელმძღვანელსა და თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### **მუხლი 9. პროექტების შეფასება**

1. საკონკურსო კომისიას (შემდგომში - კომისია) ქმნის, კომისიის სხდომას იწვევს და კომისიის მუშაობის წესს ადგენს გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისია პროექტების შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და შეფასების კრიტერიუმებით.
3. კომისია განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, აფასებს მათ ამ ბრძანების პირველი მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული თემატური მიმართულებებისა და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისად, ადგენს რანჟირებულ სიებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალური დირექტორს.
4. ფონდის თანამშრომელი შესაძლებელია იყოს საკონკურსო კომისიის წევრი ხმის უფლების გარეშე.
5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოიწვიოს ექსპერტი.
6. კომისიის შემადგენლობა და ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.
7. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულება**

1. კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩევისა და ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გამარჯვებული პროექტის წამყვან ორგანიზაციასთან, თანამონაწილე ორგანიზაციასთან საქართველოდან (ინტერინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში), პროექტის ხელმძღვანელს, კოორდინატორისა და თანახელმძღვანელთან (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში), რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულებაში განისაზღვრება გრანტის მიმღები ორგანიზაცი(ებ)ის მიერ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი ანგარიშ(ებ)ი, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა.
3. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში ფონდის მხრიდან საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ავანსის სახით (გარდა პროექტის ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების 25%-ისა), გრანტის მიმღები ორგანიზაციის შესაბამის ანგარიშზე.
4. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ ფონდის მიერ მომზადებული განხილვის აქტის შესაბამისად.

### **მუხლი 11. ანგარიშგება და მონიტორინგი**

1. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულებიდან 1 თვის ვადაში ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში.
2. ანგარიშგება გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამული და ფინანსური აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად.
3. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების განხორციელების კონტროლს საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
  - ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფინანსურ კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი

დოკუმენტაციის საფუძველზე;

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების შესრულების კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

5. ფონდი უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობის ან მისი დასრულების შემდგომ მოწვეული დარგის ექსპერტის მეშვეობით შინაარსობრივად შეაფასოს პროექტი.

6. გრანტის მიმღებმა პროექტის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

ა) მიზნობრივი ხარჯი - მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიიდან განხორციელებული ხარჯი, თუ იგი გათვალისწინებულია ამ ხარჯვითი კატეგორიით. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის შიგნით, ქვეკატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებს ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის მთლიანი ოდენობის გაზრდას, არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას და არ ეხება პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

ბ) არამიზნობრივი ხარჯი - არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთი - ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

7. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე გრანტის მიმღების მხრიდან წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შედგენილია შესაბამისი აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

## მუხლი 12. დამატებითი მოთხოვნები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ან შესაბამის ბმულს წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდზე სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია კონფერენციის შესახებ, კონფერენციის მიზნების, თემების, ჩატარების დროისა და ადგილის, მონაწილეებისა და სამიზნე აუდიტორიისათვის საინტერესო ინფორმაციით. ვებგვერდის შექმნა და ადმინისტრირება არ ფინანსდება საგრანტო სახსრებით.

2. კონფერენციის დაწყებამდე ფონდში წარმოადგინოს შერჩეული და კონფერენციის პროგრამაში შესული აბსტრაქტები და მოხსენებები (მოხსენებების მოცულობა - მინიმუმ 2500 სიტყვა ინგლისურ ენაზე).

3. პროექტის დასრულების შემდგომ საჭირო კონფერენციის ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს კონფერენციის აბსტრაქტებისა და მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4. კონფერენციის ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ პროექტი განხორციელდა ფონდის მხარდაჭერით.

5. ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, დაესწრონ კონფერენციის ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას.

6. ფონდი იტოვებს უფლებას გრანტის მიმღებმა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განთავსოს ფონდის ვებგვერდზე.

## საპროექტო წინადადება თავფურცელი (სავალდებულო შესავსები) <sup>1</sup>

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენცია			
სახელწოდება ქართულად			
სახელწოდება ინგლისურად			
კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი)			
კონფერენციის ჩატარების პერიოდი	კონფერენციის დაწყების თარიღი:		კონფერენციის დასრულების თარიღი:
პროექტის განხორციელების პერიოდი	პროექტის დაწყების თარიღი:		პროექტის დასრულების თარიღი:
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)			
თანადაფინანსება (ლარი)			
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)			

### პროექტის წამყვანი ორგანიზაცია

წამყვანი ორგანიზაცია სრული სახელწოდება	
წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
პროექტის ხელმძღვანელი სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
კოორდინატორი სახელი, გვარი	
სამეცნ. ხარისხი	
თანამდებობა	

### თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<sup>2</sup>

თანამონაწილე ორგანიზაცია სრული სახელწოდება	
თანამონაწილე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
თანახელმძღვანელი სახელი, გვარი	

<sup>1</sup> გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 11, დაშორება "single".

<sup>2</sup> საჭიროებისამებრ წაშაღეთ ან დაამატეთ თანამონაწილე ორგანიზაციისა და თანახელმძღვანელის ცხრილი.

სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	

## I. კონფერენციის სამეცნიერო კომპონენტი

**1.1. კონფერენციის კონცეფცია - სტატუსი, ენა, მიზნები და ამოცანები, სამიზნე ჯგუფები**

განმარტება: სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 600.

**1.2. კონფერენციის ფორმატი - სექციები, თემები, პლენარული მომხსენებლები**

განმარტება: სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 600.

**1.3. სტრატეგია - კონფერენციის ცნობადობისა და მაღალი რანგის მეცნიერების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (მედია გაშუქება, მარკეტინგი)**

განმარტება: სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 600.

**1.4. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ (პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის თანახელმძღვანელის (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში), სამეცნიერო კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები)**

განმარტება: ფასდება წარმოდგენილ პროფესიულ ავტობიოგრაფიასთან (დანართი 4) ერთად.

1. პროექტის ხელმძღვანელი	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი)	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

2. კოორდინატორი	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი	

გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)

### 3. პროექტის თანახელმძღვანელი <sup>3</sup>

სახელი, გვარი

სამეცნიერო ხარისხი

თანამდებობა

სამუშაო ორგანიზაცია  
(დეპარტამენტი, ინსტიტუტი)

მოკლე ბიოგრაფიული  
მონაცემები პროექტის შესაბამისი  
გამოცდილების შესახებ  
(მაქს. 50 სიტყვა)

### 4. სამეცნიერო კომიტეტი <sup>4</sup>

#### სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე (1)

სახელი, გვარი

სამეცნიერო ხარისხი

თანამდებობა

სამუშაო ორგანიზაცია  
(დეპარტამენტი, ინსტიტუტი)

პროექტით გათვალისწინებული  
მოვალეობა და  
პასუხისმგებლობები

მოკლე ბიოგრაფიული  
მონაცემები პროექტის შესაბამისი  
გამოცდილების შესახებ  
(მაქს. 50 სიტყვა)

#### სამეცნიერო კომიტეტის პირველი წევრი

სახელი, გვარი

სამეცნიერო ხარისხი

თანამდებობა

სამუშაო ორგანიზაცია  
(დეპარტამენტი, ინსტიტუტი)

პროექტით გათვალისწინებული  
მოვალეობა და  
პასუხისმგებლობები

<sup>3</sup> თუ პროექტს არ ჰყავს თანამონაწილე ორგანიზაცია და თანახელმძღვანელი, წაშალეთ ცხრილი

<sup>4</sup> სამეცნიერო კომიტეტის წევრების რაოდენობის შესაბამისად დაამატეთ ან წაშალეთ ცხრილები.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	
---	--

სამეცნიერო კომიტეტის მეორე წევრი	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა /სტუდენტის სტატუსი	
სამუშაო/სასწავლო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი)	
პროექტით გათვალისწინებული მოვალეობა და პასუხისმგებლობები	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

5 - საორგანიზაციო კომიტეტი <sup>5</sup>	
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი)	
პროექტით გათვალისწინებული მოვალეობა და პასუხისმგებლობები	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

საორგანიზაციო კომიტეტის პირველი წევრი	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი)	

<sup>5</sup> საორგანიზაციო კომიტეტის წევრების რაოდენობის შესაბამისად დაამატეთ ან წაშალეთ ცხრილები.

პროექტით გათვალისწინებული მოვალეობა და პასუხისმგებლობები	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

საორგანიზაციო კომიტეტის მეორე წევრი	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი)	
პროექტით გათვალისწინებული მოვალეობა და პასუხისმგებლობები	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

## II. პროექტის მნიშვნელობა

**2.1. მოსალოდნელი შედეგები სამეცნიერო საზოგადოებისათვის, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციებისათვის, სახელმწიფოსათვის და ფართო საზოგადოებისათვის**

განმარტება: სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 300.

**2.2. საკონფერენციო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გავრცელების მექანიზმები**

განმარტება: სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 300.

**2.3. ინტერ და ინტრაინსტიტუციური თანამშრომლობის ხარისხი**

განმარტება: შეავსეთ ცხრილი, აღწერეთ პროექტში ჩართული ორგანიზაციების სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შესაბამისობა პროექტის თემატიკასა და მიზნებთან, საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 300.

ორგანიზაცია	წარმომადგენელი ძირითადი პერსონალი სახელი, გვარი	პერსონალის სამეცნიერო ხარისხი


### III. პროექტის მართვა და განხორციელება

#### 3.1. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი<sup>6</sup>

განმარტება: მოკლედ ჩამოთვალეთ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და შეავსეთ დანართ 3-ის მიხედვით აქტივობების განხორციელების ცხრილი.

#### 3.2. პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება<sup>7</sup>

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300.

### IV. კონფერენციის პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე

(ინგლისური რეზიუმეს სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 300, ქართული რეზიუმეს სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 400).

<sup>6</sup> აქ ჩამოთვალეთ აქტივობები და დაასაბუთეთ მიზნებთან შესაბამისობა მოკლედ, დეტალურად შეავსეთ დანართი №3, ექსელის ფაილი - გეგმა გრაფიკის გვერდი (worksheet).

<sup>7</sup> აქ წარმოადგინეთ ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთება პუნქტების მიხედვით, ხოლო დეტალურად შეავსეთ დანართი №3, ექსელის ფაილი - ბიუჯეტის გვერდი (worksheet).

დამტკიცებულია  
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის  
2016 წლის 23 თვისის № 132 ბრძანებით

პროექტის სახელწოდება:  
პროექტის ხელშეწყობელი:  
წამყვანი ორგანიზაცია:  
მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების რაოდენობა:  
თანადაფინანსების საერთო რაოდენობა:  
პროექტის საერთო ხიჯები:  
თანადაფინანსების დაფინანსების თანფარდობა ფონდიდან  
მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან (%):

#DIV/0!

პროექტის ბიუჯეტი

N	ხარჯის კატეგორია	ერთეული	თვეები/ პერიოდი	თანხა (ერთ თვეში)	პროექტის სრული ბიუჯეტი*	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	ორგანიზაცია (წამყვანი, თანამონაწილე 1; თანამონაწილე 2)**	თანადაფინანსება***
I	ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება							
1.1	ძირითადი პერსონალი წამყვანი ორგანიზაციიდან	პოზიცია პროექტში					წამყვანი	
1	სახელი, გვარი	ხელმძღვანელი	1				წამყვანი	
2	სახელი, გვარი	კოორდინატორი	1				წამყვანი	
3	სახელი, გვარი	სამეცნიერო კომიტეტის წევრი	1				წამყვანი	
4	სახელი, გვარი	სამეცნიერო კომიტეტის წევრი	1				წამყვანი	
5	სახელი, გვარი	საორგანიზაციო კომიტეტის წევრი	1				წამყვანი	
1.2	ძირითადი პერსონალი თანამონაწილე ორგანიზაციიდან (1)	პოზიცია პროექტში					თანამონაწილე 1	
1	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 1	
2	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 1	
3	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 1	
4	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 1	
5	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 1	
1.3	ძირითადი პერსონალი თანამონაწილე ორგანიზაციიდან (2)	პოზიცია პროექტში					თანამონაწილე 2	
1	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 2	
2	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 2	
3	სახელი, გვარი		1				თანამონაწილე 2	
